სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1
0114 თბილისი, საქართველო
(+995 32) 2753959
info@forestry.gov.ge

19 დეკემბერი 2024

GOV N 11/7886

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 11 დეკემბრის N21/12579 წერილი, რომელიც ეხება ბაღდათის მუნიციპალიტეტში მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით შენიშვნების/მოსაზრებების მიწოდებას.
გაცნობებთ, რომ დანართით წარმოდგენილი (გაბიონი, მდინარის კორექტირებული კალაპოტი, მისასვლელი გზა, ქვაყრილი, რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, სარეკონსტრუქციო გზა) **3485 კვ.მ. ფართობიდან** (პოლიგონური Shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **1071 კვ.მ. წარმოადგენს** სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის ხანის სატყეოს, კვარტალი N 3, ლიტერი N1.
ასევე გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა (საქმიანობისთვის საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია იხ. დანართი N1) ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

დანართი: ელ.ვერსია.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7886-11-2-202412191640

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE